პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 145 (1159) | ხუთშაბათი, 5 დეკემბერი, 1957 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 დეკემბერი საბჭოთა კონსტიტუციის დღეა!

ს.ს.რ. კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)
თავისუფლების სიმბოლო

21 წლის წინათ, 1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის კონსტიტუცია, რაც ნიშნავდა, რომ ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლო შევიდა განვითარების ახალ ფაზაში. ახალმა კონსტიტუციამ კანონმდებლობით განამტკიცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული ფაქტი. მთელს მსოფლიოში იგი არის ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელმაც თვალნათლივ დაანახვა ყველას თუ რა გრანდიოზული წარმატებების მოპოვება შეუძლიათ სოციალისტური ქვეყნის მშრომელებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ახალი კონსტიტუციის მიღების საფუძველზე კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, გასალკლდევდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

საბჭოთა კონსტიტუციის ნამდვილ დემოკრატიულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან საბჭოთა მშრომელებისათვის უზრუნველყო ბედნიერი, სამური ცხოვრება, რაც სოციალიზმის ქვეყნის ადამიანებს ალაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეებს აქვთ შრომის, დასვენების, განათლების უფლებები. მოხუცებულობის, ავადმყოფობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფილი არიან მატერიალურად. ქალი და მამაკაცი თანასწორუფლებიანია მოღვაწეობის ყველა სფეროში, კანონით არის გათვალისწინებული მოქალაქეთა თანასწორობა, ეროვნების, რასის განურჩევლად. სოციალისტური საზოგადოების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის საბჭოთა კონსტიტუცია უზრუნველყოფს სიტყვის, პრესის, კრებების, მიტინგების თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს აქვთ ფართო უფლებები გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

სპორტული საზოგადოებები, ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან ჩვენს ქვეყანაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მილიონობით საბჭოთა მშრომელის ფიზიკურად გაკაჟებისათვის, მსოფლიოს სპორტული მწვერვალების დაპყრობისათვის. აქ აღიზარდნენ მაღალი კლასის ოსტატები, რომლებმაც დიდი გამარჯვებები მოიპოვეს სპორტის მთელ რიგ სახეობებში, ამით მათ კიდევ უფრო მაღლა ასწიეს საბჭოთა სპორტის დიდების დროშა. სპორტული საზოგადოებების მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით საკავშირო პროფსაბჭომ გამოიტანა დადგენილება „პროფესიონალური კავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების სტრუქტურის შეცვლის შესახებ“, რაც უზრუნველყოფს საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ჯერ არნახულ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა რესპუბლიკამ. ჩამორჩენილი ქვეყნიდან იგი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიალურ-საკოლმეურნეო ქვეყნად, სადაც შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება. ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ, ცდილობენ, რათა კიდევ უფრო მძლავრი გახდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, უფრო ბედნიერად და სამურად იცხოვრონ საბჭოთა ადამიანებმა.

გამოდიან რა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებიდან, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავად იღწვიან ხალხის კეთილდღეობისათვის, თანმიმდევრულად ახორციელებენ ქვეყნებს შორის მეგობრობის განმტკიცების, საქმიანი თანამშრომლობის გაფართოების პოლიტიკას. ჩვენი სახელმწიფო მშვიდობის დიდი მედროშეა. რაც დრო გადის მით უფრო ძლიერდება მშვიდობისათვის ბრძოლა, მსოფლიოს მილიონობით ადამიანები ხმას იმაღლებენ ახალი ომის წინააღმდეგ, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებენ. მსოფლიოს ხალხები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ მშვიდობის მანიფესტს, რომელიც კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირზე იქნა მიღებული. ამ დიდმა ისტორიულმა დოკუმენტმა ფართო მხარდაჭერა ჰპოვა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანებში. ისინი აღაფრთოვანა მშვიდობის გამარჯვებისათვის დასახულმა გზებმა, რომლებიც მოცემულია მშვიდობის მანიფესტში.

საბჭოთა კავშირის ფიზკულტურელები და სპორტსმენები კონსტიტუციის დღეს — 5 დეკემბერს ხვდებიან სიხარულით და რწმენას გამოთქვამენ, რომ მომავალ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში ახალ-ახალი გამარჯვებებით გაახარონ სამშობლო.

◆

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ბ. შახლინი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.

◆

ფოტო ი. სახაროვისა

◆

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლ. ლატინინა დვირზე ვარჯიშის დროს.

◆

ფოტო დ. სემიონოვისა

ქუთაისის სტენდზე

7-8 დეკემბერს ქუთაისის მონკავშირის სტენდზე გაიმართება ტრადიციული შეჯიბრება კონსტიტუციის სახელობის თასზე სასტენდო სროლაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისისა და მახარაძის ნაკრები გუნდები.

ქუთაისელი სპორტის მოყვარულები ცეცხლის ხაზზე იხილავენ საბჭოთა კავშირის რეკორდსმენს, საერთაშორისო სპორტის ოსტატს ზ. მაჩხანელს, საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონს წყვილ სამიზნეზე სროლაში დ. ცაგარეიშვილს, რესპუბლიკის ჩემპიონებს, სპორტის ოსტატებს ვ. ჯაბახიძეს, შ. ჩახნაშვილს, ლ. სიმონიანს, სპორტის ოსტატებს ი. ცომაიას, გ. ნოდიას, ბ. მეგრელიძეს და სხვებს.

უძლიერესები ტანვარჯიშის იარაღებზე

1 დეკემბერს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დაიწყო სსრ კავშირის 1957 წლის პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობს მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების 300 უძლიერესი სპორტსმენი.

შეჯიბრების პირველ დღეს გაიმართა სავალდებულო ვარჯიშები ქალთათვის. ბჯენით ხტომებში, როცა ამ მოძრაობის შესანიშნავმა ოსტატმა ლ. ლატინინამ დაბალი შეფასება — 9 ქულა მიიღო, დაწინაურდნენ უკრაინელი ნ. სემინინა და მოსკოველი ტ. ქალეევა, რომელთაც გაიყვეს პირველი და მეორე ადგილი. თავისუფალ ვარჯიშში ყველას აჯობა ს. მურატოვამ (მოსკოვი), დვირზე — ტ. ბოგდანოვამ (მოსკოვი), ნაირსიმაღლის ორძელზე — ლ. ლატინინამ (უკრაინა).

სავალდებულო ვარჯიშების მრავალჭიდში პირველი ადგილი დაიკავა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ს. მურატოვამ, რომელმაც დააგროვა 37,95 ქულა. მას 0,55 ქულით ჩამორჩა ლენინგრადელი თ. მანინა. მესამე იყო მოსკოველი ლ. ერიომინა. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. მოსკოვი; 2. უკრაინა; 3. ლენინგრადი; 4. რსფსრ; 5. უზბეკეთი.

ნებისმიერი ვარჯიშების შესრულების დროს კვლავ აშკარა იყო ს. მურატოვას უპირატესობა, რომელმაც არამც თუ შეინარჩუნა ლიდერობა, არამედ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის საპატიო წოდება.

ვაჟთა შორის საინტერესო ბრძოლა გაიმართა უკრაინისა და სომხეთის გუნდებს შორის, რომლებიც კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ორძელზე უკრაინელებმა, განსაკუთრებით ბ. შახლინმა (9,8 ქულა), მაღალი შეფასება მიიღეს და ხელთ იგდეს ლიდერობა გუნდურ ჩათვლაში.

შეჯიბრება გუშინ დამთავრდა.

კონსტიტუციის სახელობის თასზე

1 დეკემბერს დაიწყო კონსტიტუციის სახელობის ტრადიციული რესპუბლიკური თასის გათამაშება ფეხბურთში.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა რუსთავის „მეტალურგისა“ და ქუთაისის „დინამოს“ მატჩი, სადაც გამარჯვება ანგარიშით 2:0 მოიპოვეს დინამოელებმა. ფრედ — 2:2 დამთავრდა მატჩის ძირითადი დრო სოხუმის „დინამოსა“ და სტალინირის „სპარტაკს“ შორის. დამატებით დროში სოხუმელებმა ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2.

თბილისის ადგილობრივი მრეწველობის გუნდმა, რომელიც პირველად მონაწილეობს რესპუბლიკურ ღონისძიებაში მიიღო თელავის „სპარტაკის“ გამოცდილი კოლექტივი, და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:1. თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა დამთავრდა სტუდენტთა გამარჯვებით 1:0.

ჭიათურაში თამაშობდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და რუსთავის „ბურევესტნიკი“. დაძაბული ბრძოლის შემდეგ მასპინძლებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება ანგარიშით 2:1. სამტრედიის „ლოკომოტივს“ გამარჯვება ჩაეთვალა ზუგდიდის „კოლმეურნესთან“ შეხვედრაში (ზუგდიდელები 7 მოთამაშის შემადგენლობით დარჩნენ მინდორზე და მსაჯმა თამაში შეწყვიტა). გამარჯვება ჩაეთვალა აგრეთვე ლანჩხუთის „კოლმეურნეს“ ბათუმის „დინამოსთან“ იმის გამო, რომ ბათუმის „დინამოში“ თამაშობდა შ. მურვანიძე, რომელიც განაცხადში არ იყო.



◆

ეს ორი სურათი ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ როგორ გულისხმიერად ეპყრობიან თბილისის დოსააფის მესვეურები სახელმწიფო სახსრებით შეძენილ სპორტულ ინვენტარს.

ხომ ხედავთ, წყლით სავსე, დასალპობად განწირული ნავები ზოგი წყალში ყრია, ხოლო სხვები გამოუყენებლად ღია ცის ქვეშ.

◆

ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხი წულუკიძის რაიონში. კომიტეტზე აღინიშნა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი (თავმჯდომარე გ. შვანგირაძე), „კოლმეურნის" რაისაბჭო (თავმჯდომარე ნ. სანოძე) და ბავშვთა სპორტული სკოლა (დირექტორი ო. გოგავა) არასათანადოდ ხელმძღვანელობენ მასობრივ-ფიზკულტურულ საქმიანობას რაიონში.

რაიონული კომიტეტის 1957 წლის სპორტღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული 36 შეჯიბრებიდან ჩატარებულია მხოლოდ ოთხი ღონისძიება. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადება. დაბალ დონეზეა დაყენებული საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობა. უფრო მეტიც, კომიტეტს არ გააჩნია კვარტალური სამუშაო გეგმები. შემჩნეულ იქნა სერიოზული ნაკლოვანებანი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაშიც. ღონისძიებებიდან შემოსული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი დახარჯულია საბანკო ოპერაციების გარეშე.

საქმისადმი ამგვარმა ხელმძღვანელობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ძირეული კოლექტივების უმეტესობა ორგანიზაციულად განუმტკიცებელია, იშვიათად ეწყობა შიდასაკოლექტივო ღონისძიებანი, არ მუშაობენ სექციები. წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმის (ძირეული საბჭოს თავმჯდომარე ნ. კვინტრაძე) 320 მოსწავლიდან სექციებში ჩაბმულია მხოლოდ 118. მათგან მიმდინარე წელს სპორტღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა ერთმა მესამედმა. ძირეული კოლექტივების უმოქმედობა განსაკუთრებით იგრძნობა სოფლად. „კოლმეურნის" რაისაბჭომ განვლილ პერიოდში ჩაატარა მხოლოდ ორი ღონისძიება — ფეხბურთელთა და ცხენოსანთა პირველობები.

მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც გასულ წელს მოწინავედ ითვლებოდა, მუშაობდნენ ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და მძლეოსნობის სექციები, წელს კი საქმიანობა შეწყვიტეს. ნახახულევის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სპორტულ სექციებში გაერთიანებულია 40 ახალგაზრდა, მაშინ, როცა სოფელი ათასზე მეტ მცხოვრებს ითვლის. ხიდის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში გამგეობის თავმჯდომარის შ. მელაძის განკარგულებით გადახნეს ახალგაზრდების ძალებით მოწყობილი ფეხბურთის მოედანი და სხვ.

აღნიშნულ საკითხზე ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება. მუშაობის ჩაშლისათვის თანამდებობიდან მოხსნა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე გ. შვანგირაძე, „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოს დაავალა სუსტი მუშაობისა და ფინანსური დისციპლინის დარღვევისათვის თანამდებობიდან გაათავისუფლოს „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე ნ. სანოძე.

◆

ლენინგრადის „ავანგარდი" გადავიდა „ა" კლასში

◆

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ავანგარდი" (ლენინგრადი)	4	3	0	1	9:5	6
ოსკ (თბილისი)	4	1	1	2	4:6	3
„სპარტაკი" (სტანისლავი)	4	1	1	2	6:8	3

◆

ტაშკენტი. 3 დეკემბერი. (ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ შედგა „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდებს შორის გამარჯვებულთა ფინალის ბოლო მატჩი. თამაშობდნენ ოსკ (თბილისი) და „ავანგარდი" (ლენინგრადი).

ამ მატჩმა გადაწყვიტა საკითხი, თუ ვინ გადავიდოდა „ა" კლასში — ლენინგრადელებმა მოიგეს იგი ანგარიშით 3:1. ამრიგად, 1958 წელს ლენინგრადის „ავანგარდი" ითამაშებს უძლიერესთა შორის.

გამოცდილების უკეთ განზოგადებისათვის

სკოლაში ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლების მაღალ დონეზე დაყენება და კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებასა და დანერგვაზე.

ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური აღზრდის მრავალი გამოცდილი მასწავლებელი და მწვრთნელი მუშაობს, რომლებმაც ბავშვების ფიზიკური აღზრდის მდიდარი და ძვირფასი პედაგოგიური გამოცდილება შეიძინეს, მაგრამ იგი ნაკლებად ცნობილია ფიზიკური აღზრდის დარგში მომუშავეთათვის.

მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას მხოლოდ მაშინ აქვს ღირებულება, როდესაც იგი საყოველთაო კუთვნილებად გადაიქცევა, თუ ის ფართოდ იქნება გამოყენებული ჩვენს პრაქტიკაში. პედაგოგიური გამოცდილება კ. დ. უშინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს აღზრდის მეტი თუ ნაკლები რაოდენობის ფაქტებია, განცდილი აღმზრდელის მიერ... „უნდა მოხდეს მათი განზოგადება, ისინი უნდა იქცნენ აზრად, აი ეს აზრი და არა თვით ფაქტი, გადაიქცევა პედაგოგის აღმზრდელობითი მოღვაწეობის წესად" (კ. დ. უშინსკი).

მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს „პედაგოგიური კითხვა" და პედაგოგიური კონფერენციები, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ინიციატივით. მაგრამ სამწუხაროდ, აღნიშნულ კონფერენციებსა და „პედაგოგიურ კითხვაში" სუსტად მონაწილეობენ ფიზიკური აღზრდის სპეციალისტები, კერძოდ ამ დარგში მომუშავე მასწავლებლები და მწვრთნელები.

ჩვენი მიზანია აღნიშნულ წერილში მოკლე მეთოდური რჩევა-დარიგებები მივცეთ მასწავლებლებს, თუ რას უნდა მიაქციონ მათ მთავარი ყურადღება მოხსენებაზე მუშაობის დროს, როგორ დაასაბუთონ თავიანთი გამოცდილება და რა სახით წარმოადგინონ იგი კონფერენციაზე.

პირველ რიგში ავტორმა თემის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს მისი აქტუალობა და როლი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, აგრეთვე საკუთარი გამოცდილების დანერგვის შესაძლებლობა სკოლის პრაქტიკაში.

ავტორს შეუძლია წარმოადგინოს, როგორც თავისი საკუთარი, ისე სხვა მოწინავე მასწავლებლის ან მწვრთნელის მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე ფიზიკური აღზრდის მოქმედი სასწავლო პროგრამებისა და მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელოების შინაარსის ანალიზი. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ან სასწავლო-საწვრთნელო პროცესის შინაარსი, მათი ჩატარების ორგანიზაცია და სწავლების მეთოდები საკუთარი გამოცდილებიდან.

თემის არჩევის შემდეგ ავტორი ჯერ ადგენს მოხსენებაზე მუშაობის გეგმას, რომელშიაც ზუსტად განსაზღვრავს მოხსენებაში გასაშუქებელ საკითხებსა და მათ მოცულობას, ხოლო შემდეგ აწარმოებს საჭირო მასალების შეგროვებას, რომელიც მას დაჭირდება აღძრული საკითხის დაყენებისა და დასაბუთებისათვის. საკითხის უფრო ღრმა დამუშავების მიზნით მიზანშეწონილია ავტორი გაეცნოს როგორც სხვა მოწინავე მასწავლებლების გამოცდილებას, ისე ამ საკითხის ირგვლივ თეორიულ და მეთოდურ ძირითად ლიტერატურას.

მოხსენება უნდა ატარებდეს კვლევით ხასიათს, რომელშიც განხილული უნდა იქნეს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის რომელიმე საკითხის ახლებურად დაყენება და გაშუქება, რაც ავტორის გამოცდილებიდან და მის მიერ წლების მანძილზე დაგროვილ ფაქტებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ავტორმა უნდა დაასაბუთოს საკუთარი გამოცდილება და აღწეროს ცალკეული მეთოდები და ხერხები, რომელთაც ის იყენებდა თავის მუშაობაში. მოხსენებაში წარმოდგენილი დებულებები და მტკიცებანი საფუძვლიანად და დამაჯერებლად უნდა იქნეს დასაბუთებული პრაქტიკაში მრავალჯერ შემოწმებული ფაქტებით. ავტორს უნდა ახსოვდეს, რომ მოხსენება მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს მოწონებას, როდესაც მასში გამოცდილების, ფაქტების, მაგალითების, დაკვირვებებისა და მის მიერ გამოყენებული მეთოდებისა და ხერხების ღრმა და დასაბუთებული ანალიზი იქნება მოცემული და არა მათი სქემატური აღწერა. ამრიგად, გამოცდილების აღწერა ანგარიშის ხასიათს კი არ უნდა ატარებდეს, არამედ ის უნდა იძლეოდეს პედაგოგიურ ანალიზს, სადაც ნათლად იქნება გაშუქებული საკითხის მეთოდური მხარე, მუშაობის მეთოდები და ხერხები.

მოხსენებაში ფართოდ უნდა იყოს გაშუქებული ავტორის გამოცდილების ის თავისებურებანი და ორიგინალური მხარეები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ღრმა და მყარ ცოდნას. განსაკუთრებით საჭიროა ნაჩვენები იქნას მუშაობაში გამოყენებული მეთოდებისა და ხერხების დადებითი გავლენა მოსწავლეთა ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში.

დასასრულს, ავტორი უნდა იძლეოდეს მოხსენებიდან გამომდინარე დასკვნებსა და ღონისძიებებს, რომელთა ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას.

მოხსენებაზე მუშაობის დროს ავტორს შეუძლია მიიღოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კონსულტაცია (თემის შერჩევა, გეგმის შედგენა, ლიტერატურული წყაროების მითითება და სხვ.) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სასკოლო ჰიგიენის სექტორში. პედაგოგიურ კონფერენციებზე წაკითხული და მოწონებული მოხსენებები ყოველწლიურად იბეჭდება პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის კრებულებში, რაც მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების დანერგვას, ფართო მასაში მათი გატანის საუკეთესო პირობას წარმოადგენს.

გ. ჯაფარიძე,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერმუშაკი.

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა კომკავშირის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ სამხედრო ოლქებისა და ფლოტების პოლიტსამმართველოების უფროსთა თანაშემწეები კომკავშირული მუშაობის დარგში. თათბირზე შემუშავდა ღონისძიებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებასთან — „საბჭოთა არმიასა და ფლოტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" — დაკავშირებით საბჭოთა არმიისა და ფლოტის ნაწილებთან ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციების კავშირის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ღონისძიებები ითვალისწინებენ მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირულ ორგანიზაციათა და საბჭოთა არმიისა და ფლოტის ნაწილების დელეგაციების რეგულარულ გაცვლას, რესპუბლიკებში გამოცემული გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის, საჩუქრების გაგზავნას ნაწილებში და ა. შ. ნაწილებსა და ხომალდებზე სისტემატურად ჩატარდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა კომკავშირული მუშაკების გამოსვლები, რომლებიც განმარტავენ საკავშირო ალკკ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს და მოუთხრობენ ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრების შესახებ. თავის მხრივ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები შეხვდებიან საწარმოების, მშენებლობათა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების ახალგაზრდებს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს. საბჭოთა არმიის მე-40 წლისთავის დღეს რესპუბლიკათა კომკავშირულ-ახალგაზრდული დელეგაციები ესტუმრებიან იმ ნაწილებს, სადაც სამსახურს გადიან მათი თვისტომნი. ტრადიციად უნდა იქცეს სამხედრო ნაწილებსა და ხომალდებზე ახალგაზრდული დელეგაციების სტუმრად მისვლა, როცა აღინიშნება საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ფლოტების, არტილერიისა და ტანკისტების დღე, რევოლუციური დღესასწაულები.

1958 წლის ზაფხულში განზრახულია დოსააფის საკავშირო სპარტაკიადის ჩატარება: გათვალისწინებულია რადიო, ავტო, მოტო, საზღვაო და საავიაციო კლუბების ქსელის გაფართოება.

თათბირზე მოსმენილ იქნა აგრეთვე პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის ი. ა. ზუბკოვის განცხადება პროფკავშირებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ხელმძღვანელობის სტრუქტურის შეცვლის შესახებ და რსფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კ. ვ. კრუპინის განცხადება რსფსრ ხალხთა საზამთრო სპარტაკიადის შესახებ.

აქტივის თათბირზე

ამ დღეებში პარტიის ქედის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო ძირეული საბჭოს თავმჯდომარეების, მასწავლებლებისა და ფიზკულტურის სხვა მუშაკთა აქტივის თათბირი, რომელმაც მოისმინა რაიკომის მდივნის ა. ტაკიძის მოხსენება: „მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა რაიონში."

თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე შ. კილურაძე, რაიალმასკომის თავმჯდომარე ვ. ნაკაშიძე, ა. წიტაშვილი და სხვები, რომლებმაც გააკრიტიკეს ძირეული კოლექტივები.

თათბირზე განსაკუთრებით აღინიშნა ოქტომბრის, მეძიბნის, დანდალოსა და სხვათა ძირეული კოლექტივების სუსტი მუშაობა.

თათბირის საქმიანობა შეაჯამა პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა ვ. კიკვაძემ.

შ. კილურაძე

სძლიეს გამოცდილ მოწინააღმდეგეს

ბათუმში სტუმრად იყვნენ ოდესის „ვოდნიკის" კალათბურთელები და ფრენბურთელები, რომლებმაც რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართეს ადგილობრივ სპორტსმენებთან. საინტერესოდ ჩატარდა სტუმრების შეხვედრა სპორტსკოლის კალათბურთელებთან. ოდესელები „ვოდნიკის" ცენტრალური საბჭოს არაერთგზის ჩემპიონები არიან, ხოლო ბათუმელი კალათბურთელები — რესპუბლიკის ჩემპიონები ჭაბუკთა შორის. პირველი ნახევარი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 39:33. შეხვედრის მეორე ნახევარში მასპინძლებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება და გაიმარჯვეს 66:63.

ამავე კოლექტივების ფრენბურთელთა შეხვედრაში გაიმარჯვეს ბათუმის სპორტსკოლის წარმომადგენლებმა ანგარიშით 2:0.

ი. კუსიდი

სსრ კავშირის 1957 წლის ჩემპიონები

რევაზ ცირეკიძე

ეს იყო მიმდინარე წლის მაისში.
ოლოვი ვარში (ჩეხოსლოვაკია)
ქვეყნის მოფარიკავეთა საერთა-
ორისო ტურნირზე დაშნით ბრძო-
ის ფინალში ერთმანეთს შეხვდა
რი საბჭოთა სპორტსმენი. მაყუ-
ებელი მოუთმენლად ელოდა მაა-
ის განკარგულებას, რომელსაც
ან უნდა მოჰყოლოდა უძლიერეს-
„დუელი" — შეუპოვარი, და-
ნდობელი ბრძოლა პირველი ად-
ლისათვის. საფარიკაო ბილიკზე
პორტსმენების გამოსვლისთანავე
არბაზი ორ „მტრულ" ბანაკად გა-
ყო. ნაწილი მხარს უჭერდა რევაზ
ირეკიძეს — ტემპერამენტიან,
ექნიკურ მებრძოლს, ნაწილი კი
ს მოწინააღმდეგეს — აუღელვე-
ელ ვ. ჩერნიკოვს. დიდხანს გაგრ-
ელდა ბრძოლა, დიდხანს უტევდ-
ნ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს,
ტევას კონტრშეტევა მოსდევდა,
სათვლელი ჩხვლეტები კი არ
ნდა...

ბრძოლა თავიდანვე ცირეკიძის უპირატესობით წარიმართა. მან მოწინააღმდეგე ოთხჯერ „დაჭრა", მაგრამ ძვირად დაუჯდა სიფიცხე ქართველ მოფარიკავეს. მაშინ, როცა მის გამარჯვებას ასე ახლო ხედავდა მთელი დარბაზი, მოხდა მოულოდნელი — ჩერნიკოვმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო შემდეგ გამარჯვებაც მოიპოვა.

თითქმის ნახევარმა წელმა განვლო მას შემდეგ, ძველი სპორტული მოწინააღმდეგენი კვლავ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ, ამჯერად ვოროშილოვგრადში გამართულ მიმდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატში.

...დაშნით მებრძოლთა ფინალში მონაწილეობის უფლება 9 სპორტსმენმა მოიპოვა, მათ შორის იყვნენ ცირეკიძე და ჩერნიკოვიც. კენჭისყრამ ისინი მხოლოდ მეოთხე ტურში შეახვედრა, მანამდე რევაზმა დაამარცხა თანამემამულენი გ. კოსტავა და მ. ალთიანი, რომლებმაც ამ შეჯიბრებაზე სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს. თითქოს ვერაფერი შეაჩერებდა ცირეკიძის ტრიუმფალურ მსვლელობას ჩემპიონის ოქროს მედლისაკენ, მაგრამ სხვები ასე არ ფიქრობდნენ...

სპორტსმენი და მისი მწვრთნელი შ. დარაველია ყოველი შეხვედრის წინ გულდასმით სწავლობდნენ მომავალი მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს, ტექნიკურ არსენალს, ითვალისწინებდნენ ყოველ მოსალოდნელ წვრილმანსაც კი, მაგრამ უდრასთან შეხვედრის წინ რაღაც მაინც გამორჩათ მხედველობიდან. ცირეკიძემ დამარცხება განიცადა და გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა.

საღამოს, როცა სასტუმრო ძილმა მოიცვა, მხოლოდ მას არ ეძინა. თვალს რული არ ეკარებოდა, ფიქრობდა, აგონდებოდა წარსული ბრძოლები...

...მაშინ თბილისის მე-8 საშუალო სკოლაში სწავლობდა რევაზი, როცა მისმა მეზობელმა გ. გოგელიამ პირველად მოიტანა ეზოში ფოლადის „ხმალი" და რამდენჯერმე ფერდშიც კი აძგერა მეგობარს. ხის ხმალით ბევრჯერ უკენწლავია რევაზს, მაგრამ ფოლადის ჟღარუნი სამუდამოდ ჩარჩა ყურში, ტანვარჯიში მიანებებინა თავი და მოფარიკავეობა გადაწყვიტა. იმავე წელს ჭაბუკთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში სცადა ბედი, მაგრამ დამარცხდა. ორი წლის შემდეგ კი ორჯერ იგემა გამარჯვების სიხარული. ჯერ იყო და უძლიერესის სახელი მოიპოვა საქართველოს მოსწავლეთა შეჯიბრებაზე, ხოლო შემდეგ — რიგაში გამართულ მოსწავლეთა ჩემპიონატში. ეს საპატიო წოდება მან მომდევნო წელს არა მარტო შეინარჩუნა, არამედ კიდევ უფრო გაზარდა. ნადავლს დაშნაში მოსწავლეთა შორის ჩვენს ქვეყანაში უძლიერესის სახელიც დაუმატა.

უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ძალების დაუზოგავად დაიწყო 1955 წლის საკავშირო ჩემპიონატისათვის მზადება. თამამად გავიდა საფარიკაო ბილიკზე და ზედიზედ გამოიყვანა მწყობრიდან ცნობილი სპორტსმენები, მაგრამ „კაფნიერი" ახალგაზრდა არ დარჩა დაუსჯელი. წააგო გადამწყვეტი ბრძოლა და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. თუმცა ოქროს მედალი დაჰკარგა, მაგრამ ოსტატობა მოიპოვა.

ვარშავა. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალი. ცირეკიძის პირველი საერთაშორისო შეხვედრები გამოჩენილ მოფარიკავეებთან. ეს დიდი ღონისძიება მასთვის დიდი გაკვეთილი იყო. ერთი წლის შემდეგ იგი წარმატებით გამოვიდა უნგრეთში გამართულ „ერების ტურნირში". უნგრეთის ჩემპიონ რერიხზე, პოლონეთის ჩემპიონ რიძასთან და სხვებთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებებით საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელმა მოიპოვა მეორე ადგილი საერთაშორისო სარბიელზე. ახსოვს რეზოს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე განცდილი მარცხიც. თუმცა მაშინ გუნდის ინტერესებისათვის ბრძოლა ავადმყოფს უხდებოდა.

...თვალების ქუთუთოები დაუმძიმდა, შეუმჩნევლად წამოეპარა ძილი. დილით დროზე ადგა, თავს მხნედ გრძნობდა. მწვრთნელი ოთახში შემოვიდა და შეეკითხა: როგორ გრძნობ თავსო.

— კარგად! — მოკლედ მიუგო მან. — ბრძოლისა და გამარჯვების ხასიათზე ვარ.

...ის იყო მსაჯმა ნიშანი მისცა, რომ ცირეკიძის ელვისებური იერიში წარმატებით დამთავრდა. ჩერნიკოვი, მისი ძველი მოწინააღმდეგე დაიბნა, ტემპის შენელებით სცადა გარდატეხა შეეტანა ბრძოლაში, მაგრამ თავი ვერ დააღწია სამხრეთელის თავბრუდამხვევ იერიშებს. ზედიზედ ინთებოდა წითელი ნათურა ცირეკიძის სასარგებლოდ. ჩერნიკოვმა დამარცხებულმა დატოვა ბილიკი. შემდეგ ასეთივე ფიცხელი იერიშით დამარცხების სიმწარე აგემა ხაბაროვს, ხადაპოვსკისა და ბერზონს.

უკანასკნელი ტურის წინ 2-2 წაგება ჰქონდათ უდრასსა და ჩერნიკოვს. იმ შემთხვევაში თუ ცირეკიძე დამარცხდებოდა ჩერნუშევიჩთან, მაშინ ამ სამ სპორტსმენს შორის უნდა დანიშნულიყო დამატებითი ბრძოლები [illegible] გამოსავლენებლად.

რამდენიმე დღის [illegible] შეჯიბრებაზე „ბურევესტნიკისა" და „დინამოს" მატჩში ცირეკიძის იერიშებს ჩერნუშევიჩმა დაცვითა და კონტრიერიშებით უპასუხა. ტაქტიკა სწორი გამოდგა. ჩერნუშევიჩმა მოიგო შეხვედრა — 5:2. ახლაც პირად პირველობაზე სწორედ მათ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ჩემპიონის ბედი.

ღელავდა მაყურებელი, შეჯიბრების მონაწილეთა სკამზე მსხდომნი უდრასი და ჩერნიკოვიც ღელავდნენ.

დაიწყო გადამწყვეტი ორთაბრძოლა.

ყველა გაკვირვებული დარჩა, როცა რევაზმა უღალატა ბრძოლის თავისებურ სტილს — თავდავიწყებულ შეტევებს და ყოველგვარი აჩქარების გარეშე დაიწყო ბრძოლა. დარბაზში ჩურჩული ატყდა, მის ამგვარ მოქმედებას შიშით ხსნიდნენ. სწორედ ასე ფიქრობდა ალბათ ჩერნუშევიჩიც, რომელმაც გადაწყვიტა მომენტით ესარგებლა და იერიშზე გადავიდა, მაგრამ... წითელმა შუქნიშნებმა აღნიშნეს ჩხვლეტა ცირეკიძის სასარგებლოდ. ჩხვლეტას ჩხვლეტა მოჰყვა და... ბრძოლაც დამთავრდა. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე დინჯად ავიდა რევაზ ცირეკიძე — საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონი დაშნით ბრძოლაში.

ო. გელაშვილი

• • •



სურათზე: (მარცხნიდან-მარჯვნივ) ვ. ჩერნიკოვი, რომელმაც მოიპოვა მეორე ადგილი, რ. ცირეკიძე და ბრინჯაოს მედლის მფლობელი ი. უდრასი.

ფოტო რ. აზრიელისა

ს იყო ნამდვილი მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს" სტა-
ონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ
შორის პირველობაზე ფეხბურთში.
ამაშობდნენ „ტორპედო" (მოსკოვი)
„ლოკომოტივი" (მოსკოვი).
ეს იყო ნამდვილი საბრძოლო მატ-
ორივე გუნდი თამაშობდა მაქსი-
ური ენერგიით და დაძაბულო-
, მაღალ ტექნიკურ დონეზე, უაღ-
ად მწვავედ. „ლოკომოტივის" მა-
ლ ტემპს, მის მოთამაშეთა დიდ
მისუნარიანობას ტორპედოელებ-
დაუპირისპირეს უფრო დაგეგმი-
ტაქტიკურად სწორი თამაში.
საკუთრებით კარგი შთაბეჭდილე-
დატოვეს ნახევარმცველებმა ანი-
ოვმა და სენიუკოვმა, მარცხენა
ემარბმა არბუტოვმა. შესანიშნავი
ო გუნდის კაპიტანი ივანოვი (№ 8),
ლო მარჯვენა გარემარბის მეტრე-
ის ნეიტრალიზებისათვის რკინი-
ლებმა ვერაფერი „ზომა" ვერ გა-
ახეს, ორივე ტაიმის განმავლობა-
მეტრეველი განუწყვეტლივ არღ-
და მის მხარეზე შექმნილ გაძლიე-
ელ დაცვითს ხაზს და სისტემა-
რად ქმნიდა სახიფათო მომენტებს
ოკომოტივის" კართან. იგი ნამდ-
ად უმაღლესი კლასის მოთამა-

ოსკოვის ფეხბურთელთა მატჩმა
ბული შთაბეჭდილება დატოვა
ლისელ მაყურებლებზე. ანგარი-
მე-8 წუთზე გახსნა კოროშილოვმა
ოკომოტივი") 11-მეტრიანი საჯა-
რიდან. 2 წუთის შემდეგ მეტრე-
მა ზუსტი დარტყმით გაქვითა
, ხოლო ცოტა ხანში ფალინმა
რპედო") მცველებთან ბრძოლა-
მეორე ბურთი გაიტანა.
ტად საპასუხისმგებლო მატჩი
პედოელებმა მოიგეს ანგარი-
2:1.

ნ. თევზაძე

ათამაშების ცხრილი

გომარეობა 5 დეკემბრისათვის
ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მო" მ.	22	16	4	2	49:15	36
პედო"	21	11	6	4	45:21	28
ბო	22	13	1	8	51:31	27
ტაკი" მ.	21	10	6	5	40:26	26
ომოტ".	21	11	4	6	37:26	26
მო" ქ.	21	8	7	6	24:27	23
მო" თბ	22	8	5	9	27:33	21
ტორი"	22	7	5	10	10:35	19
ევესტ".	22	4	10	8	24:36	18
ტი"	22	4	7	11	23:41	15
ხოვეტ".	22	2	8	12	9:32	12
ტ". ხნ.	22	1	7	14	11:40	9

ფინალი და ნახევარფინალებში

ვილნიუსი

მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის X ტურში ყველა პარტია დამთავრდა. ტიხომიროვამ მეთოდური შეტევით დაამარცხა ფილანოვსკაია. ენერგიულად თამაშობს ბოლო ტურებში ვიტკოვსკაია. ამჯერად მან მოუგო კაცკოვას. ავადმყოფობის შემდეგ თამაშში ჩაება ვაისბერგი, რომელსაც მოუგო ზატულოვსკაიამ. გაფრინდაშვილი დამარცხდა ბორისენკოსთან. ყაიმით დასრულდა სოპროვსკაია-ვოიცეკის, იგნატიევა-დმიტრიევას, როოტარე-გურფინკელის, მალინოვა-რუდენკოსა და კაკაბაძე-ზვორიკინას შეხვედრები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ვაისბერგმა, რომელსაც სამი პარტია ჰქონდა სათამაშო, ორი შეხვედრა—რუდენკოსა და მალინოვასთან წააგო, ხოლო ზვორიკინასთან ყაიმზე შეთანხმდა. იგნატიევამ დაამარცხა მალინოვა, ზვორიკინამ — ზატულოვსკაია და ტიხომიროვამ — გურფინკელი.

ამრიგად, X ტურის შემდეგ ვ. ბორისენკოს 7,5 ქულა აქვს, ლ. რუდენკოს — 7, ვ. ტიხომიროვას, ს. როოტარეს, ო. იგნატიევას და კ. ზვორიკინას — 6,5 ქულა თვითეულს.

ე. გაფრინდაშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

სვერდლოვსკი

XV ტურით დაიწყო ფინიში. ამიტომ ტურნირი უფრო დიდ ინტერესს იწვევს სვერდლოვსკის საზოგადოებრიობაში. ამ დღეს ლიდერებმა გურგენიძემ და კორჩნოიმ შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს მუხიტდინოვთან და ვლადიმიროვთან. პოლუგაევსკიმ შემტევ სტილში გაიმარჯვა ლუტიკოვთან. გიპსლისმა მოუგო კამინსკის, ალივიცკიმ — ხანოვს. ყაიმი იყო ფიქსირებული ხოლმოვ-კოცისა და ბაგიროვ-ბორისენკოს პარტიებში. სამი პარტია არ დამთავრებულა.

XV ტურის შემდეგ წინ არიან ბ. გურგენიძე და ლ. პოლუგაევსკი — 10 ქულა თვითეულს, ვ. კორჩნოი — 9,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ლ. ქლენტი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

კიევი

XV ტურში მხოლოდ ოთხი პარტია დამთავრდა. ტურნირის ლიდერები გელერი და პეტროსიანი, რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ, ყაიმით დაკმაყოფილდნენ. ასეთივე შედეგით დასრულდა შიანოვსკი-ბოლესლავსკისა და კოტოვ-ფურმანის პარტიები. ხასინმა დაამარცხა სოკოლსკი. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

XVI ტურში მხოლოდ ორი პარტია გადაიდო. მათ შორის ბასტრიკოვ-ბლაგიძის პარტია. ძლიერი თამაშით ვასიუკოვმა დაამარცხა ბონჩ-ოსმალოვსკი, გოლდბერგმა — ნეიმეტდინოვი, ჩისტიაკოვმა — მიკენასი და სახაროვმა — რეშკო. ყაიმით დამთავრდა პეტროსიან-ბანნიკის, ნიკოლაევსკი-ხასინის, სოკოლსკი-კოტოვისა და ბოლესლავსკი-ფურმანის პარტიები.

ამრიგად, XVI ტურის შემდეგ ტ. პეტროსიანს 10,5 ქულა აქვს, ე. გელერს — 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ა. კოტოვს — 10 ქულა, ი. ბოლესლავსკის — 9.5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ა. პოლიაკი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ლენინგრადი

XIII ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას მდგომარეობა გაიუმჯობესა არონინმა, რომელმაც ზედიზედ ორი პარტია მოიგო. საინტერესო იყო სუეტინ-ტაიმანოვის პარტიის დაბოლოება. მიუხედავად იმისა, რომ დაფაზე სხვადასხვა ფერის კუ იყო, რაც საერთოდ ყაიმის ნიშანია, ტაიმანოვმა იშვიათი ოსტატობით გამოიყენა ბელორუსიის ჩემპიონის არაზუსტი სვლები და გაიმარჯვა. კარგად ითამაშა კროგიუსმაც, რომელმაც დაამარცხა მნაცაკანიანი და ქუხოვიცკი.

XIV ტურის დასაწყისშივე საერთო ყურადღება მიიქცია მნაცაკანიანი-სპასკის პარტიამ. სიცილიურ დაცვაში გროსმაისტერმა ნაადრევად წამოიწია ლაზიერის ფრთის პაიკები. ამაზე ერევნელმა კუს მოულოდნელი შეწირვით უპასუხა. სპასკიმ არ აიყვანა კუ და უპაიკოდ დარჩა. შემდგომ თამაშში ერევნელი დაკვირვებულად აკეთებდა სვლებს, ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა და თავის მრისხანე მოწინააღმდეგეს პირველი დამარცხება მიაყენა.

XIV ტურის შემდეგ წინ არიან ბ. სპასკი (ლენინგრადი) — 9,5 ქულა, ლ. არონინი (მოსკოვის ოლქი), მ. ტაიმანოვი და ა. ტოლუში (ორივე ლენინგრადიდან) — 8.5 ქულა.

ბ. ასტახოვი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ოკეანეზე ძლიერი

სად არის კაპიტანი?

ჩვენ მოგითხრობთ იმ ისტორიის შესახებ, რომელიც შეემთხვა ნორვეგიელ კაპიტან რონ ჰანსენს, 1956 წლის შემოდგომის ერთ ღამეს.

ვეშაპზე სანადირო გემი „სეტერ IX“ ქარიშხალში ანტარქტიკიდან კეიპტაუნში მიემართებოდა. საათი 22.00 აღნიშნავდა. რონ ჰანსენს ჩვეულებად ჰქონდა ამ დროს ყავის დალევა. მზარეულმა მოამზადა არომატული სასმელი, პატარა ლანგარზე ყავადანი ფინჯანითურთ მოათავსა და ვიწრო კიბეებზე ბალანსირებით კაპიტნის კაიუტას მიაღწია. კაკუნზე პასუხი არავის გაუცია. მზარეული დაბრუნდა.

23 საათზე ჰანსენის სახელზე მიღებულ იქნა რადიოგრამა. ცვლის მეზღვაური, რომელსაც კაპიტანთან გაატანეს ფურცელზე დაწერილი რადიოგრამის ტექსტი, უკან ხელცარიელი დაბრუნდა — კაპიტანი არ გამოხმაურებია. გემზე გადაწყვიტეს, რომ ჰანსენმა დაიძინა. ნახევარი საათის შემდეგ კაპიტნისაკენ თვით უფროსის თანაშემწე გაემართა: საჭირო იყო რადიოგრამაზე პასუხის გაცემა.

კაკუნი...

უფროსმა თანაშემწემ კარი შეაღო და ჰანსენის მომცრო კაიუტას თვალი გადაავლო. კაპიტანი არ ჩანდა. შეშფოთებულმა თანაშემწემ გასინჯა ყველა კუთხე, საწოლი, აბაზანა და კარადებიც კი. კაპიტანი გაჰქრა.

რამდენიმე წუთში გემის ყველა სადგომში აწკრიალდა სგანგაშო ზარები. მეზღვაურებმა ამაოდ გასინჯეს გემის ყოველი კუნჭული.

ერთი ოკეანეში

რა დაემართა რონ ჰანსენს?

...21 საათისათვის კაპიტანი გამოვიდა გემბანზე. მძიმე მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა. კეიპტაუნამდე რამდენიმე დღის სავალიღა დარჩა. იქ კი მას და მთელ ეკიპაჟს დამსახურებული დასვენება ელოდა.

ჰანსენმა გემბანზე ორი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ გემი ვეებერთელა ტალღამ დაფარა, აიტაცა კაპიტანი და ოკეანეში გადატყორცნა. ჰანსენი ქვასავით შთაინთქა სიღრმეში, მაგრამ ფეხებისა და ხელების ძლიერი მოძრაობით იგი ამოცურდა ზედაპირზე. გაყინული წყალი ბორკავდა სხეულს, ილაჯგამოწყვეტილი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ თავი წყლის ზევით ჰქონოდა, მაგრამ აქოჩრილი ტალღა ისევ და ისევ ჰფარავდა მას და ჰანსენს ჰაერის თითო ყლუპისათვის ბრძოლა უხდებოდა. წყლით დამძიმებული ტანსაცმელი შეუბრალებლად ექაჩებოდა ფსკერისაკენ. მან ერთიმეორეზე მიყოლებით გაიძრო ლაბადა, ხალათი, ჩექმები.

... მახლობელ ნაპირამდე მიცურვა შეუძლებელია — 300 მილი მთასავით აგორებულ ტალღებში. იმედის ნაპერწკალი მაინც ღვივის: იქნება შენიშნონ მისი გაქრობა გემზე და უკან დაბრუნდნენ, თუმცა უკვე რამდენიმე საათი გავიდა და გემი არა ჩანს.

მწვავე ტკივილები თითქოს ნაფლეთებად გლეჯენ მის სხეულს. მარჯვენა ფეხი კრუნჩხვამ შეიპყრო, მარცხენა ხელი გაითოშა, ჰანსენი მაინც არ ნებდება ბედს — ცივ ტალღებთან ჭიდილში ის იბრძვის სიცოცხლისათვის. სიკვდილის მაცდური ძალა კი ძალიან დიდია: მთელი წამება მაშინვე დასრულდება.

ძებნა

გემზე განგაშია. უფროსმა თანაშემწემ მეთაურობა თავისთავზე აიღო დ ბრძანება გასცა კაპიტანი ოკეანეში ეძებნათ. „სეტერ IX“ 180°-ით შემოტრიალდა.

პროჟექტორები თვალისმომჭრელი ნემსებივით შეიჭრნენ ღამის წყვდიადში. მათი სხივები აელვარდნენ ოკეანის ტალღებზე. ჩართეს რაცია, ხალხი ხარბად აშტერდება ღამის სიბნელეს, ეკიპაჟის ყოველი წევრი სადარაჯოზეა.

ვეშაპზე მონადირე გემმა უკვე 30 მილი გაიარა. მას შემდეგ, რაც კაპიტანი ტალღამ წალეკა და არავინ იცოდა თუ სად ეძებნათ იგი დაახლოებით მაინც. ნემსის პოვნა უფრო ადვილია თივის ზვინში ვიდრე კაცისა ოკეანეში. გემი ქარიშხალში წინ მიიწევდა უზარმაზარი, 4-მილიანი ზიგზაგებით, ეკიპაჟი ძებნას განაგრძობდა.

პირველი მრავალთაგანი

ცოტანი არიან მეზღვაურები, რომლებიც გემიდან მშფოთვარე ოკეანეში გადავარდნილან და ცოცხლები დარჩენილან. კიდევ უფრო ცოტაა ხალხი, რომელთა გაქრობაც გვიან შეუმჩნევიათ და გადაურჩენიათ.

კაპიტანი ჰანსენი კი უკვე 6 საათია ამ ჯოჯოხეთში იმყოფებოდა! ახლა იგი ყინულოვან წყალთან ბრძოლაში ღონეგამოლეული მორივით დაცურავდა წყლის ზედაპირზე. ზოგჯერ ტალღა ენარცხებოდა მას და იგი ქვასავით ეშვებოდა წყლის სტიქიონში, სადაც ვერ აღწევდა ზვირთების შავი მწკრივების თავზე მოთარეშე ქარის შემზარავი გმინვა.

პროჟექტორების შუქზე

დილის 4 საათია. გრიგალი თანდათანობით ცხრება. ვეშაპზე სანადირო გემი 14 კილომეტრით მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც კაპიტანი ტალღამ მოიტაცა. ქარი დასავლეთის მიმართულებით ჰქრის და უფროსი თანაშემწის ბრძანებით გემი აღმოსავლეთისაკენ აკეთებს ზიგზაგებს. თუ კაპიტანი ცოცხალია, მას მხოლოდ ამ მიმართულებით წაიღებდა დინება. ყველა ფიქრობდა, რომ ყოველივე ცდა უშედეგო იყო, მაგრამ უფროსი თანაშემწე მაინც განაგრძობდა ჰანსენის ძებნას.

— კიდევ ათ წუთს ვძებნით, შემდეგ რადიოგრამას გავაგზავნით და გეზს კეიპტაუნისაკენ ავიღებთ! — ჩახრინწული ხმით გასძახა მან. სწორედ ამ დროს პროჟექტორის შუქმა რაღაცა თეთრი საგანი გაანათა, რომელიც ვეშაპზე სანადირო გემიდან ნახევარ მილის მანძილზე იმყოფებოდა...

ხსნა?!

ჰანსენი თვალდახუჭული მიცურავდა, ზვირთცემისა და მარილიანი წყლისაგან ქუთუთოები დაუსივდა. მათი უმნიშვნელო მოძრაობაც კი თავის აუტანელ ტკივილებს იწვევდა. უცბად მან იგრძნო, რომ სახეზე კაშკაშა სინათლემ გადაუარა. ჰანსენი ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა გემის მოახლოვებას.

— ხსნა?!

რონ ჰანსენმა უკვე დაივიწყა კრუნჩხვა, ტკივილები, წამება. იგი მიცურავდა ხალხისკენ — იქით, საიდანაც მოისწრაფოდნენ მის შესახვედრად. ისინი კი, მისი ამხანაგები გემის მარჯვენა მხარეს მიჯრილიყვნენ და პანიკურ შიშს განიცდიდნენ, რომ ჰანსენი უკანასკნელ მომენტში არ დაღუპულიყო.

ჰანსენის გვერდით მაშველი რგოლი დაეცა. კაპიტანს არ შეუმჩნევია. იგი ბრმად მიცურავდა წინ, ვიდრე გემის კორპუსს არ დაეჯახა. მრავალი ღონიერი ხელი წაეტანა მას ხელებზე, თმებზე, ტანისამოსის ნარჩენებზე. მესაჭის კაიუტაში საათის ისარი 4 საათსა და 45 წუთს უჩვენებდა.

462 წუთი

ახლა შეიძლება დავადგინოთ, თუ რამდენი საათი დაჰყო კაპიტანმა ოკეანეში... 7 საათი და 42 წუთი.

ვეშაპზე მონადირე გემმა ლუზა ჩაუშვა კეიპტაუნში. ჩამოქმნარი, დასუსტებული რონ ჰანსენი ნაპირზე გადავიდა. აქ მას დეპეშა ელოდა: „გაემგზავრეთ სახლში დასასვენებლად“.

ს. ჰანტი,

თარგმანი **გ. სამსონაძისა.**

მსოფლიო ჩემპიონები და საჭადრაკო კომპოზიცია

რუსული ჭადრაკის სიამაყემ ალექსანდრე ალიოხინმა (1892-1946 წწ) თავისი მოღვაწეობის ვრცელ მანძილზე მხოლოდ ერთადერთი ამოცანა დაგვიტოვა. რომელიც მან შეადგინა დაფაზე დაუხედავად, ზეპირად. საერთოდ ალიოხინი უბადლო ოსტატი იყო დაფაზე დაუხედავ თამაშში. მას ეკუთვნის ამ თამაშში თავისებური მსოფლიო რეკორდიც. აი მისი ამოცანა.



შამათი 3 სვლაში

ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში

პარასკევს, 6 დეკემბერს, ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის საჯარო სხდომაზე მოსმენილი იქნება სპორტის ოსტატ დ. ოზოლაძის საანგარიშო მოხსენება თემაზე: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, გორისა და თბილისის ალპინიადები“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დასწრება თავისუფალია.



27 ნოემბერს ლენინგრადში დამთავრდა პირად-გუნდური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. სურათზე: მძიმე წონის მოჭიდავეთა ა. პარფიონოვისა და ხ. ბარანოვის (ორივე მოსკოვი) ფინალური შეხვედრა. გაიმარჯვა პარფიონოვმა (ზევიდან).

საფეხბურთო ამინდში...

თბილისში ნამდვილი საფეხბურთო ამინდები დგას. ქალაქის სტადიონებზე გრძელდება ტრადიციული შეჯიბრებები ფეხბურთში.

რამდენიმე ეტაპად ჩატარდა კონსტიტუციის სახელობის საქალაქო გათამაშება: ტურნირი დაიწყეს მეოთხე ჯგუფის გუნდებმა, ხოლო შემდგომ მასში თანდათან ერთვოდნენ მესამე, მეორე და პირველი ჯგუფების გუნდები. ამ სისტემამ მეტი დაინტერესება გამოიწვია ძირეული კოლექტივების წარმომადგენელთა შორის.

გათამაშების ფინალში გავიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი გუნდი და ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის მესამე გუნდი.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ მატჩი, რომელსაც დაჭირდა დამატებითი დრო — 30 წუთი, მოიგეს ახალგაზრდა ფეხბურთელებმა (გუნდის მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ანთაძე). აღსანიშნავია განათლების განყოფილების პირველი გუნდის კარგი თამაში (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ზაზროშვილი), რომელმაც ნახევარფინალში მხოლოდ დამატებით დროში წააგო ფიზკულტურის ინსტიტუტის გამოცდილ გუნდთან.

აღსანიშნავია აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოსა და № 1 სამგზავრო ატკ-ს ფეხბურთელთა კარგი მომზადება (მწვრთნელები კოპაძე და ცატუროვი).

• • •

დამთავრდა აგრეთვე საქალაქო შეჯიბრებები მოსწავლე ფეხბურთელთა შორის, სადაც ცალცალკე მონაწილეობდნენ უმცროსი და უფროსი ასაკის მოსწავლეთაგან შემდგარი გუნდები.

უმცროსი ასაკის ფეხბურთელთა შორის პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა 39-ე საშუალო სკოლის გუნდმა (ფიზაღზრდის მასწავლებელი ჩერნიშოვი).

უფროს ასაკში უძლიერესი აღმოჩნდა 38-ე სკოლის გუნდი (ფიზაღზრდის მასწავლებელი ჩერემისინი).

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ მოსწავლე ფეხბურთელთა შორის ხშირად აქვს ადგილი დისციპლინის დარღვევას. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოიჩინეს“ თავი 33-ე სკოლის მოსწავლეებმა, რომელთა ხულიგნური საქციელი, როგორც თამაშის დროს ისე მის გარეშეც, საყოველთაო აღშფოთებას იწვევს. ვფიქრობთ, 33-ე სკოლის დირექცია სათანადო ზომებს მიიღებს წესრიგის დამრღვევთა მიმართ.

ა. გონელი



წესდების მსხვერპლი

გარდა ცნობილი საერთაშორისო გაერთიანებისა და კლუბებისა ინგლისში არის პატარა კლუბები, რომლებიც შექმნილია სპორტის ამა თუ იმ სახეობის მოყვარულთა მიერ.

ლონდონში არსებობს „უროს მტყორცნელთა კლუბი“, რომელმაც საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა გუნდის იქ ყოფნის დროს მიიწვია მსოფლიო რეკორდსმენი მ. კრივონოსოვი.

მან მიიღო ეს მიწვევა და ინგლისის საუკეთესო უროს მტყორცნელ ალლაისთან ერთად ეწვია მასპინძლებს. სპეციალურად მოწყობილ შეჯიბრების დროს მსოფლიო რეკორდსმენმა უჩვენა 65.48 მ. ალლაის შედეგი 59.51 მ იყო — ინგლისის ახალი რეკორდი უროს ტყორცნაში!

...მაგრამ ამ შედეგს ინგლისის რეკორდთა ცხრილში ვერ იპოვით, რადგან „უროს მტყორცნელთა კლუბის“ წესდებით, კვირას ნაჩვენები შედეგები ოფიციალურად არ ჩაითვლება.

პ. კერესის თავაზიანობა

საბჭოთა და შვეციის მოჭადრაკეთა მატჩზე 1954 წელს გროსმაისტერ (მაშინ ოსტატ) შტოლცს გროსმაისტერ კერესთან სავსებით უიმედო პოზიცია ჰქონდა, მაგრამ იგი განაგრძობდა შეუპოვარ წინააღმდეგობას. დარბაზში მყოფი მაყურებლები აღშფოთებული იყვნენ თავისი თანამემამულის საქციელით. ზოგმა კერესს მოუბოდიშა კიდეც.

კერესს არ უნდოდა გაეწბილებინა თავისი ძველი მეტოქე და დამსწრეებს ღიმილით უთხრა: „შტოლცს თავდავიწყებამდე უყვარს ჭადრაკი და იგი იმდენადაა გატაცებული ბრძოლით, რომ ვერ ამჩნევს ფიგურის დანაკლისს“.

რედაქტორი ი. უგულავ

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. უე 03582